კოსმოსის ახალი შვურმი

1 ივნისს, 22 საათზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირში სტარტი აიღო მატარებელმა რაკეტამ „სოიუზ—9“ კოსმოსური ხომალდით.

კოსმოსურ ხომალდს, რომელიც დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაყვანილია 22 საათსა და 09 წუთზე, პილოტობს ეკიპაჟი შემდეგი შემადგენლობით: ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, პოლკოვნიკი ანდრიან გრიგოლის ძე ნიკოლაევი, ბორტ-ინჟინერი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიტალი ივანეს ძე სევასტიანოვი.

ხომალდ „სოიუზ—9“-ის ეკიპაჟმა ერთიანულად ორბიტალური ფრენის პირობებში უნდა შეასრულოს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევანი და ექსპერიმენტების დიდი პროგრამა.

ეკიპაჟთან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი და ტელევიზიური კავშირი.

როგორც ხომალდის მეთაური ამბობენ, ნიკოლაევ-სევასტიანოვ, ორბიტაზე გაყვანის უბანი გავლილია ნორმალურად, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 107 (4101)

1970 წ. 3 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

სსრ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კიდევ ოთხი მატჩი

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა სსრ კავშირის თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩები ფეხბურთში.

ვოროშილოვგრადი. ქვეყნის ეკს-ჩემპიონმა, კიევის „დინამომ“ ძარცხი განიცადა მინიმალური ანგარიშით — 0:1. მაგრამ ადგილობრივი „ზარია“ მაინც გამოვთიშა სპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას (ვინაიდან კიეველებმა პირველი მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს).

ლენინგრადი. „ზენიტმა“ წლევანდელ აშკარად დაჯაბნა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი ცსკა. ნევისპირელებმა პირველი მერვედფინალური მატჩი არმიელებს მოსკოვში მოუგეს (3:2), მეორე კი — შინ (4:2). ცსკა-მ დაამთავრა თასისთვის ბრძოლა, „ზენიტი“ კი გავიდა მეოთხედფინალში. აქ მისი მეტოქე კიევის „დინამო“ იქნება.

მოსკოვი. დედაქალაქის „ტორპედომ“ თასის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება ფაქტიურად მაშინ გაანაღდა, როცა დაამარცხა მინსკის „დინამო“ მისსავე მოედანზე. გუშინწინდელი შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა, რაც ავტოქარხნელებისთვის გამარჯვების ტოლფასი იყო.

ერევანი. პირველი მატჩი „არარატსა“ მოსკოვის „დინამოსთან“ მინიმალური ანგარიშით წააგო — 0:1. შინ ერევნელებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს. ფრე — 0:0. „დინამო“ მეოთხედფინალში მოსკოვის ავტოქარხნელებს შეხვდება.

ჯუჯენ...

თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. თბილისის „დინამო“ გავიდა მეოთხედფინალში, სადაც ოდესის „ჩერნომორეცს“ შეხვდება.

20 წ

◆ ტოკიო, 2 ივნისი. ჰიმალაიის მთებში მდებარე ერთ-ერთი უმაღლესი (8.470 მ) მწვერვალი მაკალუ პირველად იქნა დაპყრობილი ყველაზე ძნელი მხრიდან. ეს გააკეთეს იაპონელმა ალპინისტებმა ტანაკამ და ოდაძიმ. მათ მწვერვალზე დაჰყვეს 20 წუთი და აქვე აღმართეს იაპონიისა და ნეპალის სახელმწიფო ალმები.

◆ ლენინგრადი, 2 ივნისი. აქ გამართულ ველოსიპედისტთა საქალაქთაშორისო მატჩში გაიმარჯვეს ხარკოველმა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე არიან მოსკოველი, მესამეზე — ტულელი. ველომრბოლელები.

ცხელ გულზე

წინასწარი ცნობებით, მექსიკაში 1800 ჟურნალისტია აკრედიტებული. მათს ნახევარს, ცხადია, მასპინძლები შეადგენენ. 200-200 ჟურნალისტი ჩამოვიდა ბრაზილიიდან და ინგლისიდან. ისინი 31 მაისის მატჩის დამთავრებისთანავე შეუდგნენ მუშაობას. პირველი ცნობები, პირველი შეფასებანი ელვის სიჩქარეთი მოედო მსოფლიოს. აი, ჟურნალისტთა ზოგიერთი გამონათქვამი ცხელ გულზე.

„დეილი ტელეგრაფი“: „თამაშის ხარისხი არ იყო სათანადოდ მაღალი, ამ უვერტურამ ერთგვარად გაგვიცრუა იმედი“.

„დეილი მეილი“: „არასდროს არ გვინახავს ტრიბუნების ასეთი მძლავრი მხარდაჭერა. დაიმახსოვრეთ ჩვენი სიტყვები — ტრიბუნები ამ ჩემპიონატში თავის სიტყვას იტყვიან“.

„დეილი მირორი“: საბჭოთა გუნდი ზედმეტად მკაცრი მსაჯობის მსხვერპლი გახდა, თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი ევროპული გუნდი ვერ მიაღწევს წარმატებას“.

„ბაივსი“: „დასავლეთგერმანელი მსაჯი ჩენჩერი ძალზე ფორმალურად მიუდგა კანონს. ძნელი საკმელია, რა გზას აირჩევენ დანარჩენები. თუ ყველა მსაჯი ჩენჩერის ფორმალიზმს გაჰყვა, ჩემპიონატი დაკარგავს შინაარსსა და სიმწვავეს. ფეხბურთი, პირველ რიგში, მაინც ათლეტური თამაშია!“

ამ და კიდევ სხვა უამრავი გაზეთის (განსაკუთრებით ევროპულის) შეშფოთებას, რაც სსრ კავშირ—მექსიკის მატჩის მსაჯობამ გამოიწვია, თითქოს პასუხს აძლევს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სტენლი როუზი, რომელმაც რეიტერის საგენტოს წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: „ჩენჩერი მკაცრად მოქმედებდა — მან ზუსტად შეასრულა ჩვენი მითითებები. ივი მუდამ თამაშის ცენტრში იყო და ეს, ჩემის აზრით, მთავარია. ჩენჩერმა შენიშვნა მისცა რამდენიმე ფეხბურთელს, მაგრამ მე, მაგალითად, სამსაჯო ბარათში მხოლოდ ერთის გვარს ჩავწერდი“.

მწვრთნელები აფასებენ პირველ მატჩს

IX მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს, რომელიც გასულ კვირას „აცტეკის“ სტადიონზე ჩატარდა, თვალყურს ადევნებდა 700 მილიონამდე ტელემაყურებელი. ასეთი აუდიტორია არ ახსოვს არც ერთ დარსშესანიშნავ მოყვანას მსოფლიოში. ჩემპიონატის საზეიმო გახსნამდე დიდი ხნით ადრე ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ სსრ კავშირ—მექსიკის მატჩს 1 მილიარდი ადამიანი ნახავდა, როგორც პირველი მონაცემები ცხადყოფენ, მექსიკელთა ვარაუდი მთლიანად არ გამართლდა, თუმცა ოფიციალური მსოფლიო რეკორდი მაინც მოხსნილია (მანამდე ყველაზე მეტი ტელემაყურებელი ჰყავდა ოლიმპიური თამაშების გახსნას და ინგლისის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის დაკრძალვას (პირველ ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა 500 მილიონი ადამიანი, პრემიერის დაკრძალვას კი 100 მილიონით მეტი).

ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და დაინტერესებული ტელემაყურებელი გვადალახარის სასტუმროში იჯდა და ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა. ეს იყო დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელი ალფ რამსეი. ცხადია, სსრ კავშირ—მექსიკის მატჩის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა პირველ ყოვლისა შეკითხვით სწორედ მას მიმართეს.

რამსეიმ თქვა: „პირველი შედეგი ევროპელებს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. გულწრფელად უნდა ვაღიარო — გავოცდი, როცა რუსების ესოდენ ძლიერი თამაში ვნახე (მეორე ტაიმში). ყველას ეგონა, რომ სიმაღლე და სიცხე მათ ბოლოს მოუღებდა. მოხდა კი პირიქით. ახლა მთავარია იმის ცოდნა, თუ რამდენი დღე დასჭირდება მოთამაშეთა ძალების აღდგენას. ამიტომ მოუთმენლად ველი საბჭოთა ფეხბურთელების მეორე მატჩს“.

რამსეის პარტნიორი III ჯგუფში, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელი იოზეფ მარკო უფრო თავდაჭერილი და, რაც მთავარია, სიტყვაძუნწი იყო. ეს გასაგებიცაა: მსოფლიო ჩემპიონი თავის პირველ მატჩს ატარებს რუმინეთთან, რომელიც, საერთო აღიარებით, ჯგუფში ყველაზე სუსტ გუნდად ითვლება. ჩეხოსლოვაკიელები კი ბრაზილიელებს ხვდებიან. ცხადია, მარკოს „სიჯარო ლექციის“ არც დრო აქვს, არც ხასიათი. მან მოკლედ თქვა: „ორივე გუნდი ძალზე ნელ ტემპში თამაშობდა“.

აუტანელი ტროპიკული სიცხე მწვრთნელების უმრავლესობას მთავარ ხელშემშლელ პირობად მიაჩნია. განსაკუთრებით შეშფოთებული არიან ამით ევროპელები.

დასავლეთგერმანელმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა გულისტკივილით განაცხადა: „ლეონში ჩვენ კიდევ უფრო მეტად შეგვაწუხებს სიცხე“. პირველი მატჩის მთავარ ნაკლად მას მიაჩნია მოთამაშეთა ერთგვარი ინდიფერენტულობა, რაც ისევ და ისევ სიცხით იყო გამოწვეული. „ვფიქრობ, შედეგი ორივე ნაკრებისთვის ხელსაყრელი გამოდგა“, — თქვა თავის მოკლე განცხადების დასასრულს მწვრთნელმა.

ცუდ კლიმატურ პირობებზე ილაპარაკა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფერუჩიო ვალკარეჯიმ. აი, როგორია მისი აზრი ჩემპიონატის პირველ მატჩზე: „ორივე გუნდის დაუძინებელი მტერი იყო სიცხე. ასეთ პირობებში თამაში ფეხბურთელებისთვის ძნელია. და მაინც, მეტოქეებმა საკმაოდ სოლიდური თამაში აჩვენეს. თუმცა, 30 მეტრიდან გოლის გატანის ცდა ამჯერად ნაკლებად ეფექტური გამოდგა“.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა თქვა: „სიცხემ ჩვენებს არ მისცა საშუალება ეჩვენებინათ ის, რაც შეეძლოთ. ვფიქრობდი, რომ 20-დღიანი აკლიმატიზაცია საკმარისი იქნებოდა, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასე არ იყო. ამიტომაც შევცვალე ორი ფეხბურთელი“.



„ვისი სული ბსურს?“ ნახ. ვ. იაშვილისა.

ДЕЛО ЛЕЛО!

◆ 3 ივნისს „აცტეკის“ სტადიონზე თამაშობენ ჩვენი გუნდის მეტოქეები — ბელგიელები და სალვადორელები. ჟაურნალისტებს შორის არ იქნება რამდენიმე საბჭოთა სპეციალისტი. მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელი ნ. სიმონიანი პუგლაში გაემგზავრა, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი გ. ჩოხელი — ტოლუკაში, კიევის დინამოელთა დამრიგებელი ვ. მასლოვი — გვადალახარაში. მათი ამოცანაა დაზვერონ ჩკუნპოტენციური მეტოქეების თამაში.

ДЕЛО ЛЕЛО!

◆ ტოლუკა, 2 ივნისი. ბელგიელ ფეხბურთელთა ჯგუფი, ალბერ ანდერლეხტის ხელმძღვანელობით, ჩამოვიდა ტოლუკაში. ბელგიელ ფეხბურთელთა ბანაკი ადგილობრივ „ზარიას“ ეგულება. ბელგიელ ფეხბურთელთა ბანაკი ადგილობრივ „ზარიას“ ეგულება. ბელგიელ ფეხბურთელთა ბანაკი ადგილობრივ „ზარიას“ ეგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფავორიტებს ჩამორჩებიან

ქართველი ხმლით მოფარიკაველები მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც სპორტის მოყვარულებმა გამოიჩინეს ამ სახეობის წარმომადგენელთა მიმართ რესპუბლიკის უძლიერეს მოფარიკაველთა ტურნირში. მაგრამ, ვინაიდან ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ ესპადრონის აღიარებული ოსტატები ნ. ასათიანი, მ. სახვაძე და სხვები, ეს ინტერესი არ გამართლდა. ტურნირი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელ მოფარიკაველთა ასპარეზობად შეიძლება ჩაითვალოს. რა გვიჩვენა მომავალმა ცვლამ?

ტურნირს თავიდანვე ტონი მისცა ორმა გამოცდილმა ოსტატმა — გ. ლორთქიფანიძემ და დ. შარაშენიძემ. ორივე სპორტსმენი წინა წლებში წარმატებით გამოდიოდა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. მათ დახვეწილი ოსტატობა უჩვენეს თავიანთ შედარებით ახალგაზრდა კოლეგებს. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ამ ორმა დამსახურებულად გაიმარჯვა რესპუბლიკის უძლიერეს ხმლით მოფარიკაველთა ტურნირის პირველ წრეში. ფარიკაობის სპეციალისტებისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. სამწუხაროდ, იმედი ვერ გაამართლა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატმა ა. გაგულაშვილმა. ეს ნიჭიერი სპორტსმენი ახლახან დაბრუნდა უნგრეთიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა და ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში საკმაოდ კარგადაც გამოვიდა. მით უფრო საკვირველია, რომ გაგულაშვილმა რესპუბლიკის უძლიერესთა ტურნირში რამდენიმე ბრძოლა წააგო შედარებით გამოუცდელ მოფარიკაველებთან და საბოლოოდ ფინალშიც კი ვერ გაიკვლია გზა. რას უნდა მივაწეროთ ეს? მეტოქეთა ძალების სათანადოდ შეუფასებლობას თუ უპასუხისმგებლობას? ვფიქრობთ, ერთსაც და მეორესაც. გაგულაშვილი უხალისოდ იბრძოდა, არ იჩენდა მისთვის დამახასიათებელ შეუპოვრობასა და მიზანსწრაფვას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი მოგებულ ბრძოლებს შეგნებულად უთმობდა ახალგაზრდა კოლეგებს.

სამაგიეროდ, ჭეშმარიტი სპორტსმენისთვის დამახასიათებელი თვისებები გამოავლინა რ. ბინინაშვილმა. იგი ფარიკაობისთვის ახალბედად ვერ ჩაითვლება, რადგან უკვე რამდენიმე წელია გამოდის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, თუმცა ყოველთვის შედარებით მოკრძალებულ შედეგს აღწევს. ბოლო ხანებში ბინინაშვილმა საგრძნობლად აიმაღლა ფარიკაობის კლასი. მოფარიკაველთა ენაზე რომ ვთქვათ, მისი მთავარი კოზირია ბრძოლის ინტელექტუალური მანერა, რაც მას განსაკუთრებით გამოარჩევს სხვა მონაწილეებისგან. ბინინაშვილი იბრძოდა გააზრებულად, დამაჯერებლად და ამას სასურველი შედეგიც მოჰყვა — III ადგილი.

რაც შეეხებათ ტურნირის სხვა მონაწილეებს, ისინი აშკარად ჩამორჩებოდნენ ფავორიტებს.

ორიოდე სიტყვა რაპირისტ ვაჟთა ტურნირზე. ფარიკაობის ეს სახეობა წლიდან წლამდე კარგავს მიმზიდველობას. ამას მოწმობს რაპირისტთა გამოსვლები უკანასკნელ წლებში საკავშირო ასპარეზზე. მათ ამ შეჯიბრებაშიც ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს.

ქეჩის ღირსია მხოლოდ თბილისელი ნ. ჩიტიშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკაველი. მაგრამ რამდენად შესწევს ჩიტიშვილს ძალა საკავშირო ტურნირებში წარმატების მისაღწევად? ამას მომავალი ასპარეზობები გვიჩვენებს. II ადგილი მოიპოვა გამოცდილმა სპორტსმენმა, ქუთაისელმა ა. ბობოხიძემ.

III საპრიზო ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდა თბილისელ მოფარიკაველს ა. აფციაურს. იგი მონდომებით იბრძოდა და მიაღწია კიდეც საწადელს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

* * *



სურათზე: რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

მოზარდების დაზვერვაზე

როცა მოსწავლე-მძლეოსანთა რესპუბლიკური პირად ტურნირს გეგმავდა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდის კანდიდატების შერჩევასა და მძლეოსნობის განვითარებისთვის რესპუბლიკის სპორტსკოლების მუშაობის შემოწმებას ისახავდა მიზნად.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ტურნირი ორ დღეს გაგრძელდა. თუ საქართველოს პროფსაბჭოს და განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებულ სკოლებს, გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატს ვერ დავემდურებით, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და სხვა სპორტსკოლებმა, მძლეოსნურმა ჯგუფებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. აჭარიდან სასპარეზოდ მხოლოდ 11 მძლეოსანი გამოგზავნეს, ქუთაისიდან — 8, სამხრეთ ოსეთიდან — 4, რუსთავიდან— 3, მაშინ, როცა სარბიელზე გეგეჭკორისა და გარდაბნის — 6-6, ზუგდიდის — 5, ხაშურის, სამტრედიის, ქარელის, მახარაძის — 4-4, ახმეტისა და ახალციხის — 3-3 მძლეოსანი გამოვიდა. თანაც, რაიონების ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო კარგად იყო მომზადებული, ვიდრე ოლქებისა და დიდი ქალაქების სპორტსკოლების აღსაზრდელები.

მაგალითად, ბადროს მტყორცნელ გოგონებში უძლიერესმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, ხაშურელმა მოსწავლემ ნ. ლაბაძემ ძირითად შეჯიბრებაში 43,58 მეტრი აჩვენა (დამატებით ცდაზე 44,50 მ) და თითქმის 7 მეტრით აჯობა ო. შტუკატუროვას (აჭარა) — 36,80. სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულმა სამტრედიელმა ა. კურენიამ (539 სმ) ქუთაისელ ნ. სტეპანოვას, რომელმაც II ადგილი დაიკავა, 10 სანტიმეტრი მოუგო. 400 მეტრზე მორბენელი ჭაბუკების წინასწარ შეჯიბრებაში ტონის მიმცემი აღმოჩნდა ი. ვაშალომიძე (მახარაძე), რომელმაც დღის საუკეთესო შედეგი (52,5) აჩვენა. ფინალში, რომელიც მეორე დღეს მოეწყო, მან პირადი შედეგი 0,1 წამით გააუჯობესა და II ადგილი დაისაკუთრა. 5000 მეტრზე რბენაში ყველას გარდაბელმა გ. გოგოლაურმა აჯობა — 17.11,0.

სხვა სახეობებში გამარჯვება უმეტესად თბილისელებს ხვდათ, მხოლოდ რამდენიმე სახეობა მოიგეს ქუთაისისა და აჭარის მძლეოსნებმა, აფხაზეთის სპორტსმენები კი საასპარეზოდ საერთოდ არ ჩამოვიდნენ (წლეულს ეს უკვე მერამდენედ).

ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება თბილისის განათლების განყოფილებისა და საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლების მძლეოსნებმა დატოვეს. პირველი სკოლის წარმომადგენლებმა 30 საპრიზო ადგილი დაიკავეს, მეორე სკოლის აღსაზრდელებმა— 20, თანაც, სწორედ ამ სკოლების სპორტსმენებმა გააუჯობესეს მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდები. ი. ინდრიაკოვმა (განათლების განყოფილება, მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბ. ტახტაროვი), რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა, 400 მეტრზე თარჯრბენში 17-18 წლის ჭაბუკების შეჯიბრებაში 56,7 აჩვენა. ტ. ივანოვამ (პროფსკოლა, მწვრთნელი გ. ნადირაშვილი) კი 400 მეტრზე მორბენელი 15-16 წლის გოგონების ასპარეზობაში — 59,0.

დებულებით, სარბიელზე მეორეთანრიგოსნები დაიშვებოდნენ. მართლაც, ეს თანრიგი თითქმის ყველა გამარჯვებულმა დაადასტურა, ხოლო ნ. ლაბაძემ და ბ. პრესნოვმა (თბილისის განათლების განყოფილება) პირველი თანრიგის შედეგებიც აჩვენეს. ამასთან პრესნოვმა პირველად მიაღწია ამ წარმატებას. მან 190 სმ სიმაღლე დაძლია. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი სპორტსმენიც — ლ. ჭარბაძე (პროფსკოლა). ამ გოგონამ 400 მეტრი 58,7 წამში გაირბინა, რაც სპორტსმენის პირადი რეკორდი და წლეულს საუკეთესო შედეგია რესპუბლიკაში.

ცალკეულ სახეობებში ნაკლიც გამოვლინდა. მაგალითად, შუბის მტყორცნელ, 800 და 1500 მეტრზე მორბენალ გოგონათა შეჯიბრებებში გამარჯვებულები მეორე თანრიგს ვერ შესწვდნენ. უროს ტყორცნასა და 5.000 მეტრზე რბენაში 2-2 სპორტსმენი გამოდიოდა. ჭოკით ხტომაში მესამე პრიზიორი ვერ გამოვლინდა, ვინაიდან გ. სოხაძემ და ს. მანჟუკოვმა თავიანთი შესაძლებლობანი ზედმეტად შეაფასეს და განაცხადში შეტანილი საწყისი სიმაღლე ვეღარ დაძლიეს. შუბის მტყორცნელ გოგონებში მხოლოდ ლ. ბალიკომ მიიღო ჩათვლა — 29,26 მ. სხვები იმდენად სუსტად იყვნენ მომზადებული, რომ წესიერად თითოჯერაც ვერ ტყორცნეს.

ო. გელაშვილი.

* * *

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები.

გოგონები. რბენა. 100 მ. ლ. ლაბუზნაია (თბილისის განათლების განყოფილება) — 12,9; **200 მ.** ლ. ჭარბაძე — 26,6; **800 მ.** მ. მეტრეველი (თბილისი, „სპარტაკი") — 2.26,5; **1500 მ.** ნ. ბეზუმენკო (თბილისის განათლების განყოფილება) — 5.13,0; **200 მ თარჯრბენი.** მ. ალიაკრინსკაია (პროფსკოლა) — 31,2; **სიმაღლეზე ხტომა.** გ. პოლიაკოვა (თბილისის განათლების განყოფილება) — 150; **ბირთვის კვრა.** მ. შეროზია (აჭარა) — 11,73.

ჭაბუკები. რბენა. 100 მ. დ. გიგაური (გლდანის ინტერნატი) — — 11,2; **200 მ.** ვ. კაკაურიძე (პროფსკოლა) — 22,9; **400 მ.** მ. გონნარი (თბილისის განათლების განყოფილება) — 52,2; **800 მ.** გ. ტეძჩინი (თბილისის განათლების განყოფილება) — 2.00,6; **1500 მ.** ი. პაპიაშვილი (თბილისი, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 4.15,7; **3.000 მ.** ი. არჯევანიძე (თბილისის განათლების განყოფილება) — 9.33,0; **110 და 400 მეტრზე თარჯრბენი.** კ. ტუქვაძე (ქუთაისი) — 16,2 და 59,7; **სიგრძეზე ხტომა და სამხტომი.** ა. ვლასოვი (თბილისის განათლების განყოფილება) — 664 და 14,40; **ჭოკით ხტომა.** გ. ორდენიძე (გლდანის ინტერნატი) — 340; **შუბის ტყორცნა.** ნ. სუხიტაშვილი — 52,92; **ბირთვის კვრა.** რ. ეკგენიძე (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 12,92; **ბადროს ტყორცნა.** ფ. ზარანდია (გლდანის ინტერნატი) — 36,84; **უროს ტყორცნა.** ნ. გრიგორიადისი (ნორჩი დინამოელი)—41,77; **10 კმ სპორტული სიარული.** ვ. სანიკიძე (თბილისის განათლების განყოფილება) — 49.58,5.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ლაბაძე ასპარეზობისას; მარჯვნივ— 400 მეტრზე რბენის ფინიშთან მიიჭრნენ ჭარბაძე (წინ) და ივანოვა; პრესნოვი სიმაღლეზე ხტომის დროს.
ავტორის ფოტო.

რაიონული ინფორმაციები

გორი

ქალაქის მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში 8 გუნდი მონაწილეობდა. პირველი 3 ადგილი პედინსტიტუტის, ბამბეულის კომბინატისა და საკონსერვო კომბინატის კოლექტივებმა დაიკავეს. ქალთა შორის ყველას აჯობეს ვ. შავშიშვილმა (ინსტიტუტი), ჯ. რაზმაძემ (ბამბეულის კომბინატი), მ. ფრანგულიანმა (მე-9 სამშენებლო ტრესტი). ვაჟებში — პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა თ. თარგამაძემ და ვ. ივანოვმა.

* * *

ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობაში ახლახან შეიქმნა კლასიკური, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის სექცია, რომელშიც გაერთიანებულია შავშვების, ნაწრეტის, წითელი უბნისა და ხურვალეთის ოცდათექვსმეტი ახალგაზრდა. სექციას სათავეში ჩაუდგა სპორტის ოსტატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ვ. დუდაშვილი. აქ ნაყოფიერად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის ჯგუფებიც. ახალგაზრდების დაინტერესებას დიდად უწყობს ხელს მეურნეობის დირექცია (დირექტორი ი. აბაიაძე).

თ. ილოშვილი.

ჩოხატაური

რაიონის სკოლების მძლეოსანთა პირველობაში ყველას აჯობა ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზე არიან ქვეენობნის, III — ვანზომლეთის საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

დ. გურგენიძე.

აბაშა

მოეწყო რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება ველოსპორტში. 8-წლიან სკოლებს შორის გაიმარჯვეს საგვაზაოს ნორჩმა ველოსიპედისტებმა, საშუალო სკოლის სპორტსმენთა შორის— აბაშის მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა.

რ. ბანდურია.



11 სახეობა, 13 გუნდი

საზაფხულო საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ორ ქვეჯგუფად ჩატარდა, გორელმა სპორტსმენებმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის მზადებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიუძღვნეს. სპორტის 11 სახეობაში 13 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

განსაკუთრებით დაძაბული იყო კალათბურთელთა შეჯიბრება. ქალთა შორის იმარჯვეს პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. II და III ადგილებზე ბამბეულისა და საკონსერვო კომბინატების წარმომადგენლები გავიდნენ. სამაგიეროდ, საკონსერვო კომბინატის ვაჟებს სერიოზული მეტოქეობა ვერავინ გაუწია. აქ მომავალი პედაგოგები II ადგილს დასჯერდნენ. სპორტსკოლელები III ადგილზე დარჩნენ.

სასიხარულოა, რომ გორში თანლათან იზრდება მძლეოსნობით დაინტერესება: ორივე ქვეჯგუფში 160-მდე სპორტსმენი გამოვიდა სარბიელზე. საერთო I ადგილი პედინსტიტუტის კოლექტივს დარჩა. სპორტსკოლელები და ფეიქრები მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

ქალთა პირად ტურნირში ყველას აჯობა ნ. ტალადინოვამ (პედინსტიტუტი). მან მოიგო 100 მეტრზე რბენა და სიგრძეზე ხტომა.

ვაჟებში საუკეთესონი იყვნენ: 100 მეტრზე რბენაში — ვ. დოროხინი (სპორტსკოლა) — 11,6; 200 და 400 მეტრზე — ბ. ყურწუა — 23,3 და 53,4; 800 მეტრზე — გ. მიჩიტაშვილი (ორივე — პედინსტიტუტი) — 2.16,1. 1500 მეტრზე რბენაში პირველობა დაისაკუთრა ბამბეულის კომბინატის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. შიუკაშვილმა—4.35,4.

ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრება ატენის ხეობაში ჩატარდა. ამ სახეობაში ქალაქში ყველას ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურელთა კოლექტივი სჯობს. ამჯერად ეს კომბინატი შეჯიბრებაში 4 გუნდით ჩაება, პედინსტიტუტის სპორტულმა კოლექტივმა კი ერთი კაცის გამოყვანაც ვერ შეძლო.

მაგიდის ჩოგბურთელთა პირველ ქვეჯგუფში ადგილები თანმიმდევრულად გაინაწილეს პედინსტიტუტის, ბამბეულისა და საკონსერვო კომბინატების წარმომადგენლებმა. მეორე ქვეჯგუფში იმარჯვა უნივერმაღის კოლექტივმა.

ქართულ, თავისუფალ, კლასიკურ ჭიდაობაში, ხელბურთში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკში გამარჯვება სტუდენტებს დარჩათ. შაშში ყველას საკონსერვო კომბინატის წარმომადგენლებმა აჯობეს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ საათს!

◆ სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეების ბელგიისა და სალვადორის გუნდების მწვრთნელებმა თავიანთი აზრი 31 მაისის მატჩზე უფრო მოგვიანებიო გამოთქვეს. აი, რა განაცხადა ბელგიელთა მწვრთნელმა ბუტალსმა: „ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ბიჭებმა წარმატებით გაიარეს აკლიმატიზაცია და მზად არიან საბრძოლველად". მწვრთნელის განცხადება კიდევ უფრო დააზუსტა ნაკრების კაპიტანმა ვან ჰიმსტმა. მან აღნიშნა, რომ მოთამაშეთა საბრძოლო სულისკვეთება მოწოდების სიმაღლეზეა და რომ ფეხბურთელები თავს ჩინებულად გრძნობენ. „ჩვენი შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებთან, — თქვა შემდეგ კაპიტანმა, — გადაწყვეტს ერთ-ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობას. ვფიქრობ, ჩემპიონატის პირველი მატჩის შედეგი ბელგიელებისთვის არ იყო ხელსაყრელი".

საბრძოლო განწყობილებაზეა სალვადორის ნაკრების მწვრთნელი კარასკო: „ჩემი ფეხბურთელები მზად არიან ბრძოლისთვის. მათ სწამთ, რომ წარმატებით ითამაშებენ ბელგიისა და მექსიკის წინააღმდეგ. კარგად ვგრძნობთ თავს სიმაღლეზე და არ გვეშინია სიცხის, ვინაიდან შეჩვეული ვართ ტროპიკულ მზეს".

◆ მექსიკელებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა დათვალიერეს სპორტული კლუბი „ჩაპულტეპეკი". სათადარიგო შემადგენლობამ სალამოს წვრთნა ჩაატარა, დანარჩენები კი შეხვდნენ საბჭოთა ტურისტთა დიდ ჯგუფს— სახალინის, ურალისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ახალგაზრდებს.

სურათზე: სსრ კავშირ — მექსიკის მატჩის მომენტი. ა. კავაზაშვილი იგერიებს მაღალ ბურთს.
ტელეფოტო აპ—საკადესისა.

ერთიდან-მილიონამდე

1 — პირველად მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მაროკოს, ისრაელისა და სალვადორის გუნდები.

2 — ბრაზილიის, ურუგვაისა და იტალიის გუნდებმა ორ-ორჯერ მოიგეს „ოქროს ქალღმერთი".

3 — სამჯერ მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. მისი მაქსიმალური წარმატებაა IV ადგილი, რომელსაც გუნდმა 1966 წელს მიაღწია.

4 — ასეთია ბურთების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაიტანეს მსოფლიო ჩემპიონატების ერთ მატჩში ეუსებიომ (პორტუგალია), ლეონიდასმა (ბრაზილია), შიაფინომ (ურუგვაი), ადემირმა (ბრაზილია), ვეტერსტრენმა (შვეიცია), ვილიმოვსკიმ (პოლონეთი), კოჩიშმა (უნგრეთი) და ფონტენმა (საფრანგეთი). ეს უკანასკნელი, ამავე დროს, აბსოლუტურად საუკეთესო სნაიპერია. მან 1958 წლის ჩემპიონატში 13 ბურთი გაიტანა.

6 — ინგლისის რადიოკომპანიამ ბი-ბი-სი-მ ტელემაყურებელთა შორის კონკურსი მოაწყო: ვინ დაასახელებს წინასწარ მატჩებში გატანილ ექვს საუკეთესო გოლს? ის, ვინც ზუსტად გაიხსენებს სიტუაციებს, მიიღებს მეხიკოში გასამგზავრებელ თვითმფრინავის ბილეთს და ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებზე უფასო დასწრების უფლებას.

13 — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ იმ მოთამაშეებს, რომლებსაც თავიანთი გუნდების სიაში მე-13 სტრიქონი უკავიათ, უნიმრად თამაშის ნება ეძლევათ. ამის მიუხედავად, გფრ-ის ნაკრების წევრმა მიულერმა თვითონ მოითხოვა „თარსი ნომერი". (იგი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სწორედ ამ ნომრით თამაშობდა).

16 — ამდენი მონაწილე გამოდის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. პირველ ეტაპზე—წინასწარ თამაშებში 71 ქვეყანა იბრძოდა.

20 — ასეთია პერიოდი ურუგვაელ ფეხბურთელთა წარმატებებს შორის. „ოქროს ქალღმერთი" სამხრეთ ამერიკელებმა პირველად 1930 წელს მოიპოვეს, ეს წარმატება მათ 20 წლის შემდეგ, 1950 წელს გაიმეორეს.

28 — ასეთია ინგლისის ნაკრების საშუალო ასაკი, რომელიც ამჟამად ყველაზე „ხანდაზმულ" გუნდად ითვლება.

40 — ამდენი წლის არის ჩემპიონატის ყველაზე „უხუცესი" მონაწილე, სსრ კავშირის ნაკრების მეკარე იაშინი.

90 — ამდენი საათია დათმობილი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელერეპორტაჟისთვის ევროპასა და აზიაში.

1.000.000 — „აცტეკის" სტადიონის ელექტროტაბლოს, რომელსაც 1.000.000 ნათურა გააანთებს, 200-მდე ელექტროტექნიკოსი ამონტაჟებდა.



ულიტყვოდ. ნახ. რ. სანადირაძისა.



● მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ბურთი გაიტანა საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ლორანმა მექსიკელებთან შეხვედრაში.

● არგენტინელი ნახევარმცველი ლუიჯი მონტი 1930 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო. 4 წლის შემდეგ ლ. მონტი ისევ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაგრამ უკვე იტალიის ნაკრების შემადგენლობაში.

● ყველაზე მეტი გოლი გატანილ იქნა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. 26 შეხვედრაში 140 გოლი. არც ერთი მატჩი არ დამთავრებულა „მშრალად" — 0:0. ამავე ჩემპიონატში უნგრელებმა ანგარიშით 9:0 დაამარცხეს თურქეთის ნაკრები და ეს ანგარიშიც ჯერჯერობით სარეკორდოა.

ნ. გაბაშვილი.

13 ნაბიჯი ციფრი როდია

სპიდვეისტთა საკლუბო გუნდების საკავშირო პირველობის III ტურპი „თბილისი" ბალაკოვოს „ტურბინას" შეხვდა.

უკვე პირველივე სერიაში თბილისელთა ლიდერმა, ევროპის ჩემპიონმა ვ. კლიმენტიევმა აჯობა თანაგუნდელ ა. სტასკევიჩს, მეტოქეებს — ტოლოკონცევსა და მაზანოვს. ამ სერიის შემდეგ თბილისელები დაწინაურდნენ — 4:2.

მეორე სერიაში მასპინძლებს ხიურპრიზი ელოდათ: II წრის ვირაჟზე ბალაკოვოელ კრასნოვს სურდა თბილისელ ვ. გორდეევისთვის გაესწრო, მაგრამ წაიქცა და თბილისელიც თან გადაიყოლა. კრასნოვის მონაწილეობა შემდგომ შეჯიბრებაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, გორდეევი კი მსუბუქად დამავდა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმა ერთი წუთითაც არ უფიქრია.

საინტერესოა, რომ დარჩენილ სერიებში გორდეევი კიდევ სამჯერ გამოვიდა ბილიკზე და სამივეჯერ პირველი იყო ფინიშთან, ამასთან, იგი საგრძნობლად უსწრებდა მეტოქეებს.

მაყურებელს კლიმენტიევის რბოლა ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრიდა. იგი მეტოქეებს თავიდანვე უშელავათო ბრძოლას სთავაზობდა და ალებულ ტემპს მთელი დისტანციის მანძილზე ინარჩუნებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 13 სერიიდან სტუმრებმა ვერც ერთი ვერ მოიგეს. ანგარიში მხოლოდ ოთხ სერიაში იყო საყაიმო — 3:3.

თბილისელთა საერთო გამარჯვებაში წვლილი შეიტანეს გუნდის დანარჩენმა წევრებმაც — თ. ნოსაძემ, ს. ლიომინიდიმ, პ. ზელენსკიმ, ტ. ხუჯაძემ.

უკვე ათი სერიის შემდეგ ჩვენებს გუნდური გამარჯვება განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ ბოლომდე მაინც შესანიშნავად იბრძოდნენ. როცა წიდოვან ბილიკზე ბრძოლა დამთავრდა, მასპინძლთა გამარჯვება დამაჯერებელი იყო — 50:27.

ასპარეზობის მეორე დღესვე კლიმენტიევი და გორდეევი ჩეხოსლოვაკიას გაფრინდნენ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სპიდვეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეჯიბრებაში. სხვათა შორის, ამ ასპარეზობის ნახვა შეუძლიათ თბილისელებსაც, თუ ტელევიზორის ეკრანებს მიუსხდებიან 6 ივნისს, 24 საათზე თბილისის დროით. ცოტა მოგვიანებით გორდეევი პოლონეთში გამოვა, ხოლო 16 და 19 ივნისს „ლოკომოტივის" სტადიონზე „თბილისი" მორიგ მატჩებს გამართავს სსრ კავშირის პირველობაზე.

ა. მხეიძე.

დრო და დაიბრუნეს

„დინამოს" საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ შეაჯამა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. საუკეთესო მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის „დინამოს" აჭარის საოლქო საბჭოს მიეკუთვნა I ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და I ხარისხის დიპლომი.

ამ საპატიო დროშას ექვსი წლის მანძილზე ფლობდნენ აჭარის ფიზკულტურელები. დროშამ მხოლოდ ერთხელ დატოვა ბათუმი და 1969 წელს აფხაზეთში დაიდო ბინა, წლეულს კი იგი კვლავ ნაცნობ ადგილს დაუბრუნდა.

დღითი დღე იზრდება აჭარის დინამოელთა სპორტული საქმიანობა, მრავლდება ფიზკულტურელთა რიცხვი, მაღალ დონეზეა ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭიდაობა, ცურვა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა...

შარშან აჭარაში მომზადდა 4 სპორტის ოსტატი, 6 ოსტატობის კანდიდატი, 122 პირველთანრიგოსანი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა სხვა თანრიგების სპორტსმენთა, ნიშნოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულება.

საპატიო ჯილდო დინამოელებს კიდევ უფრო მეტს ავალებს.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

1970 ᲕᲔᲮᲐᲣᲚᲘᲗᲘ

ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ 2 ᲥᲣᲚᲐ

I ᲯᲒᲣᲤᲘ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)— „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:0 (0:0).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ბერიძე, მირიანაშვილი, პანოვი, ქელეხიძე, ფილია, ბახტაძე, შხვაცაბაია, ჭოლაძე, მაზიაშვილი, ხუციშვილი, ჭელიძე.

ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲘ: პოლეშჩუკი, კატკოვი, ვოლოსტნიხი, რიბაკი, ბორშჩი, გასპერსკი, ტარასოვი, ტესლევი (ბისტრიცკი), მატვეენკოვი, შევჩუკი (ნადეინი), ალექსეევი.

მსაჯი — ვ. ფარდმანი (ეისკი).

თბილისელთა დღევანდელი მეტოქე უახლოეს წარსულში „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ბინადარი გახლდათ და ხშირად ლიდერთა რისხვადაც ითვლებოდა. ახლა იმ გუნდისგან მხოლოდ სახელი დარჩა და კიშინიოველები გათამაშების ცხრილის ბოლო მესამედში არიან. უფრო უარესად აქვთ საქმე მასპინძლებს — თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს. მაგრამ გულშემატკივრებს იმის იმედი არ დაუკარგავთ, რომ რკინიგზელები შინ კარგად თამაშობენ და, როგორც წესი, 2 ქულას მაინც იღებენ.

მატჩის პირველ ათ წუთს ბურთი ძირითადად მინდვრის ცენტრში ტრიალებდა. კარის აღების შესაძლებლობა მხოლოდ მე-12 წუთზე შეიქმნა, როცა მასპინძლებმა მეტოქის საჯარიმო მინდორზე ბურთის გაუთავებელი გადაწოდებით ხელსაყრელი მომენტი დაკარგეს. ორიოდე წუთის შემდეგ ხუციშვილმა ძლიერად დაარტყა და კიშინიოველთა მეკარემ ძლივს აიღო ბურთი. მე-19 წუთზე სტუმრებმა პირველი რეალური საფრთხე შეუქმნეს თბილისელთა კარს, მაგრამ ბერიძემ ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია ალექსეევის მიერ 5 მეტრიდან დარტყმული ბურთი. ტაიმის დასასრულს რკინიგზელებმა კიდევ შექმნეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ საპოლოო დარტყმები ძალზე უზუსტო იყო. ბოლო წამებზე მატვეენკოს მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი კარის ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ ლოკომოტიველთა იერიშები უფრო ენერგიული და მიზანსწრაფული გახდა. მეკარე პოლეშჩუკი რომ არა, კიშინიოველთა კარი, სულ მცირე, ორჯერ მაინც იქნებოდა ღებული. გოლი, როგორც იტყვიან, მომწიფდა: 70-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე კარგად გაიპრა ჭოლაძე და საჯარიმო მინდვრის კუთხიდან ჩაწოდა კარის გასწვრივ. ბურთი ყველას ასცდა და უმეთვალყუროდ დარჩენილ ხუციშვილს ისღა დარჩენოდა, რომ ცარიელ კარში გოლი გაეტანა. დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

გაიმარჯვეს რკინიგზელებმა — 1:0.

Ა. ᲗᲔᲯᲐᲜᲔᲚᲘ.





ᲔᲕᲔᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲜ — ᲗᲑᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ

როგორც უკვე ცნობილია, 87 წლის იაპონელი პროფესიონალი სამთომოთხილამურე იუტერო მიურა თბილამურებით დაეშვა ევერესტის მწვერვალიდან (8848 მ). ურთულესი სამკილომეტრიანი ტრასა, რომელიც მთის სამხრეთ ფერდობზე გადიოდა (მარცხენა ხურათი) მოთხილამურემ 2 წუთსა და 20 წამში გაიარა.

დაშვება უაღრესად ძნელი იყო. სპორტსმენს არც ამინდი უწყობდა ხელს. მიურას ეცვა საგანგებო ტანსაცმელი, რომელზეც დამაგრებული ჰქონდა ორი ფანგბადის बალონი და სასტაბილიზაციო პარაშუტი სისწრაფის დასაკლებად. სპეციალურ ჩაფხუტში ორმხრივი რადიოკავშირის ხისტემა იყო მოწყობილი.

ტრასის ბოლოს, როცა სისწრაფემ საათში 200 კილომეტრს მიაღწია, მიურამ პარაშუტი გამოიყენა (მარჯვენა ხურათი). ერთგან ყინულზე სპორტსმენმა წონასწორობა დაკარგა და დაეცა. ამჯერად იგი მხოლოდ დიდი პირადი ვაჟკაცობის წყალობით გადარჩა.

ექსპედიციის მოწინავე რაზმში იყო რამდენიმე კინოოპერატორი, რომლებიც იაპონელის უმაგალითო დაშვებას ფირზე აღბეჭდავდნენ. ეს ხურათი ნაჩვენები იქნება საერთაშორისო გამოფენაზე „ექსპო—70“.

ფოტო „შტერნ“—აას-ისა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ, II ᲖᲝᲜᲐ

 მდგომარეობა 2 ივნისისთვის

	თ.	Თ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (რუსთავი)	5	3	2	0	6—3	8
„ტორპედო“ (ეისკი)	5	3	1	1	12—4	7
„კაზეთი“ (ოელავი)	5	3	1	1	9—4	7
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	5	2	3	0	5—2	7
„კოლხეთი“ (ფოთი)	5	1	4	0	8—5	6
„ბურია“ (ლენინგორი)	5	2	2	1	4—1	6
„სპარტაკი“ (ბარანსკი)	5	2	2	1	4—2	6
„მეშახტე“ (ტყიბული)	5	1	4	0	5—4	6
„მერცხალი“ (მახარაძე)	5	2	1	2	6—6	5
„სპარტაკი“ (რიაზანი)	5	2	0	3	9—8	4
„დინამო“ (სოხუმი)	5	1	2	2	4—5	4
„მეტალურგი“ (კრასნი სულინი)	5	2	0	3	5—8	4
„პროგრესი“ (კემენსკ-შახტინსკი)	5	0	4	1	3—6	4
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	5	1	2	2	3—8	4
„სულორი“ (ვანი)	5	1	2	2	3—6	4
„სპარტაკი“ (ტამბოვი)	5	1	1	3	4—7	3
„ალაზანი“ (გურჯაანი)	5	1	1	3	4—8	3
„ორბიტა“ (ბელაია კალიტვა)	5	0	2	3	2—7	2

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲯᲔᲑᲐ

ორშაბათს, გ. ერისთავის სახელობის გორის დრამატულ თეატრში ჩატარდა ტრადიციული ტურნირის I X ტური. აი, რა გვიამბო საქართველოს ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა.

— ლიდერები არ ცხრებიან. ნიკოლაუმ ორიგინალურად გაითამაშა ვენური პარტია ჩიქობავას წინააღმდეგ. მაგრამ უპირატესობას მაინც ვერ მიაღწია. თბილისელი მოჭადრაკის პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა. საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, როცა ჩიქობავამ უზუსტოდ ითამაშა, პაიკი დაკარგა და განსაცდელში აღმოჩნდა, გაიმარჯვა ნიკოლაუმ.

იუგოსლავიელმა მერლინმა ვერაფერი გააწყო ელენე რუბცოვას მზარდ ინიციატივასთან. ერთი, რაც მან შეძლო — პარტია გადადო.

კარგად ითამაშა ლალი კოროშინაძემ. მან მოუგო ბულგარეთის ჩემპიონს გეორგიევას. თბილისის ჩემპიონმა პაიკის შეწირვით იერიშის შანსი მიიღო. ბულგარელმა მაინც გაათანაბრა პოზიცია, შემდეგ კი უსწოროდ ითამაშა.

ნანა ალექსანდრიამ ვერ ააწყო თამაში პოლონელ რაძიკოვსკასთან. ეს პარტია გადაიდო პოლონეთის ჩემპიონისთვის პოზიციური უპირატესობით. გამარჯვების იმედი აქვს კობაიძეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. რუბცოვასთან დუმთავრებელ პარტიაში.

ანდრეევამ კაკაბაძეს პაიკი მოუგო და შემდეგ პარტიაც. კახაბრიშვილ — ხუგაშვილის გადადებულ პარტიაში თანაბარი პოზიციაა.

ტურნირში დაგრცდა საკმაოდ ბევრი — 17 გადადებული პარტია, მათი დამთავრება, რომელიც 2 ივნისს შედგება. სატურნირო ცხრილში სიცხადეს შეიტანს. 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ა. ნიკოლაუ — 8 ქულა, ვ. რუბცოვა — 6 და 2 გადადებული პარტია, ა. გეორგიევა — 5 (1), ლ. კოროშინაძე — 5, თ. ხუგაშვილი— 3,5 (4), ო. ანდრეევა, ნ. ჩიქობავა — 3,5-3,5 (2-2), ნ. ალექსანდრია — 3 (4).

ᲔᲢᲘᲣᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

ახალგაზრდა ეტიუდისტის დ. გურგენიძის (თბილისი) ნაწარმოები, რომელიც „ლელოს“ მე-7 ნომერში გამოქვეყნდა, ასე ამოიხსნება: 1. მb5! მფ:b5 (თუ 1. ... ეd2, მაშინ 2. b7 ეd8 3. მd6+ მფc3 4. მფ:a4 ეb8 5. მფ:a5 მფd3 6. მფb5 მფe3 7. მფa7 ე:b7+ 8. მფ:b7 მფf2 9. მf5 მოგებით) 2. b7 ეc3+ 3. მფa2 მფa6 4. bმc ეa3+ 5. მფb1 ეb3+ 6. ლ:b3 ab 7. h4 gh 8. gh a4 9. h4 gh 10. gh მფb5 11. h5 მფb4 12. h6 a3 (აქ გამოჩნდა თეორების მე-5 სვლის სიზუსტის მნიშვნელობა. 5. მფb2 რომ ყოფილიყო, მაშინ ახლა შესაძლებელი იქნებოდა 12. ... a3+!) 13. h7 მოგებით.

რედაქტორის მოადგილე
Ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ, ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲒᲝᲜᲔᲑᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ.

მსურველებს შეუძლიათ ვარჯიშისთვის აირჩიონ ნებისმიერი დრო 7-დან 22 საათამდე.

აბონემენტის შესაძენად საჭიროა მოქალაქემ იცოდეს ცურვა და წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან.

აუზის ტელეფონებია 22-61-00, 22-77-59 და 22-55-40.

ᲐᲣᲖᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.

ᲥᲮᲚᲘᲡ ᲥᲐᲯᲔᲥᲘ

● **ᲚᲕᲝᲕᲘ**, 1 ივნისი. აქ მოეწყო „250-ანებით“ მოტოკროსში მსოფლიოს VI ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი. სტარტზე 12 ქვეყნის 40 სპორტსმენი გამოვიდა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ფინიშთან ბევრმა ვერ მიაღწია. ყველას აჯობა ბელგიელმა გეზოერსმა, რომელმაც ორივე ცდა და მასთან ერთად ეტაპიც მოიგო. II ადგილზეა მასპინძელი კავინოვი, III — ჩეხოსლოვაკელი ჰალმი. შეჯიბრების დებულებით, ჩათვლას ის სპორტსმენები იღებენ, რომლებიც ეტაპებზე ათეულებში დამკვიდრდებიან. ლვოვში ათეულში კიდევ სამი საბჭოთა ეროსმენი მოხვდა. ესენი არიან კიეველი კრასნოშჩეკოვი (VI ადგილი), ლენინგრადელი რასტვორცევი (VII) და კიშინიოველი შანდრიჩენკო (X).

● **ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ**, 1 ივნისი. მასპინძელთა და იტალიის მძლეოსანთა გუნდების ორდღიანი მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 125:86. მონაწილეებმა რამდენიმე კარი შედეგი აჩვენეს. იტალიელმა ა. პრესტონიმ დაამარა იტალიის რეკორდი 100 მეტრზე რბენაში — 10,2, ესპანელმა ლ. სარიამ 200 მეტრის გარბენას 21,0 წამი მოანდომა, ე. აზარომ (იტალია) გადალახა 215 სმ სიმაღლე.

● **ᲡᲝᲤᲘᲐ**, 1 ივნისი. აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის“ ჯილდოზე. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ 15 ქვეყნის წარმომადგენლები. წარმატებით ესასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მოსკოველმა ი. სოლონცოვამ ბადრო 57.36 მეტრზე ტყორცნა. ბელორუსელი ი. შჩუპლიაკოვის მიერ ნატყორცნი ერო 69,64 მეტრზე დაეცა.

● **ᲑᲔᲠᲙᲚᲘ**, 1 ივნისი. კალიფორნიის ამ ქალაქში გამართულ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ოლიმპიურ ჩემპიონს რ. მეთსონს 8 სანტიმეტრი დაკლდა, რათა გაემეორებინა მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში. მან 21,75 მ აჩვენა. მეორე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ევანსმა 440 იარდი 46,4-ში დაფარა, ჯ. ხილვესტერმა ბადრო 62,5 მეტრზე ტყორცნა.

● **ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲘ**, 1 ივნისი. რსფსრ-სა და გდრ-ის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 143,35:140,95. პირად შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ა. ნაზმუტდინოვა (სვერდლოვსკი) — 29,35

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 1 ივნისი. გაზეთ „იუმანიტეს“ პრიზზე გამართულ ველოგრბოლელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ა. პეშელმა (გდრ). გ. საიდხუჟინი მეხუთე იყო.

● **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ**, 1 ივნისი. აქ ჩატარდა პოლონეთისა და გდრ-ის მოკრივეთა მატჩი, რომელიც დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 14:6.

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 1 ივნისი. საფრანგეთის დედაქალაქის „როლან გაროს“ საჩოგბურთო კორტებზე გრძელდება ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატი. მოროზოვა — მეტრეველის დუეტმა სძლია ვინკენცს (გფრ) და ბოდელიუქს (საფრანგეთი) — 7:5, 7:5. ქართველმა ჩოგბურთელმა წარმატებას მიაღწია ვაჟთა წყვილებშიც. მან ს. ლოხაჩოვთან ერთად დაამარცხა ფრანგები — ჟურკოლი და პოლი — 6:4, 6:1, 6:4. ერთეულთა შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენები ნაკლები წარმატებით გამოდიან. ა. მეტრეველი დამარცხდა ამერიკელ კ. რიჩისთან (მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული მოთამაშე) — 6:8, 4:6, 6:8. ო. მოროზოვამ ფარ-ხმალი დაყარა მ. სმით-ჟურტის (ავსტრალია) წინაშე — 6:4, 6:8, 1:6.

● **ᲡᲝᲤᲘᲐ**, 1 ივნისი. ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში გამართულ ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. პირველი მეძიმე წონის ძალოსანმა ი. ტალტსმა 0,5 კგ-ით გაუუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი აპიმვაში. მისი შედეგია 196 კგ. ქვემძიმე წონის სპორტსმენმა ვ. კოლტოვმა გადააჭარბა თავისივე საკავშირო რეკორდს ატაცში —158 კგ.

● **ᲰᲐᲐᲒᲐ**, 1 ივნისი. ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდმა „ბურევესტნიკმა“ გაიმარჯვა. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მან დაამარცხა „ტოტენჰემი“ (ინგლისი) 3:0, „აქსეადი“ (ჰოლანდია) 2:1, ფრედ ითამაშა როტერდამის „ფეენოორდთან“ — 1:1. ფინალში „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „ია-ქსჩ“ — 2:0.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14 1 ᲣᲔ 04288